ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, №30 ნაკვ. №01.10.06.001.002-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი

# საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

შ. პ. ს. “თბილინვესტპროექტი “

ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, №30 ნაკვ.
№01.10.06.001.002-ში მრავალბინიანი
საცხოვრებელი კომპლექსის
პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში

შ.პ.ს.
“თბილინვესტპროექტი”-ის
დირექტორი — გ. სიყმაშვილი

გეოლოგიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი — გ. სადრაძე

## სარჩევი

1. შესავალი ---------- 2
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგიური პირობები---------- 3
3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ---------- 4
3. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 7

დანართები

ტექნიკური დავალება ---------- 1 ფ.
ჭაბურღილების განლაგების სქემა ---------- 1 ფ
საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი ---------- 4 ფ.
ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი ---------- 6 ფ
ლაბორატორიული შედეგების ჯამური უწყისი ---------- 2 ფ
გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები ---------- 18 ფ
წყლის ქიმიური ანალიზი ---------- 3 ფ
სტატისტიკური დამუშავების შედეგები ---------- 3 ფ

ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, №30 ნაკვ.
№01.10.06.001.002-ში მრავალბინიანი
საცხოვრებელი კომპლექსის
პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში

## 1. შესავალი

დაკვეთის საფუძველზე, შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოლოგებმა ჩაატარეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ქ. თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით. დავალების თანახმად, აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს ხუთი თხუთმეტსართულიანი შენობა ერთი სარდაფის სართულით. შენობები გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა. შენობის ტიპი – კარკასულ-მონოლითური. საძირკვლის სავარაუდო ტიპი — დადგინდება გეოლოგიური კვლევების საფუძველზე. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

შენობის დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: დასკვნაში გამოყენებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები "ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება", გ. ჯაფარიძის "თბილისის საინჟინრო გეოლოგია" უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია 6 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 150,0 გრძ/მ. ბურღვა წარმოებდა საბურღი დანადგარით УГБ–1ВС საშუალებით, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, კერნის უწყვეტი ამოღებით. ბურღვის პარალელურად მიმდინარეობდა გრუნტებიდან ნიმუშების აღება, რომლებზეც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები შ.პ.ს "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. ჭაბურღილების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპო-გეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო ნაბურღი მასალით.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე დასკვნა. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლი წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 02.01-08 –– (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), პნ 01.01-09 –– (სეისმომედეგი მშენებლობა), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები: კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2021 წლის ივნისში.

## 2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ნაწილში. ტერიტორიის საერთო კლიმატური პირობები ზომიერად კონტინენტურია, საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12,6°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი –24°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი –– 146 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ –– 0,73 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ –– 0,85 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ –– შესაბამისად 28, 33, 35, 36, და 37 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე: –– 0 სმ.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია მდებარეობს დიღმის დეპრესიის ცენტრალურ ნაწილში, წოწორას ხევის ფარგლებში. სამშენებლო მოედნის რელიეფი ტექნოგენურია, წარმოდგენილია აღმოსავლეთის მიმართულებით მცირედ დახრილი ზედაპირით, სამშენებლო მოედანს ჩრდილოეთიდან დემეტრე თავდადებულის ქუჩა ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან პეტრე იბერის ქუჩა, ხოლო დანარჩენი ორი მხრიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. სამშენებლო მოედანი განაშენიანებულია და მასზე მდებარეობს რამდენიმე ნაგებობა, რომლებიც დემონტაჟს ექვემდებარება. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 478,3 – 480,1 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონაში. საკვლევი ტერიტორია აგებულია ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ასაკის (მაიკოპის სერია) ზღვიური მოლასური ნალექებით: კარბონატული და თაბაშირიანი თიხები ქვიშაქვის შუაშრეებით და კონგლომერატების ლინზებით. ეს ძირითადი ქანები ზემოდან გადაფარულნი არიან მეოთხეული ასაკის დელუვიური-პროლუვიური, სხვადასხვა კონსისტენციის თიხურ-თიხნარული გრუნტებით, რომლებიც შეიცავენ წყალშემცველი ქვიშის და ხრეშის ლინზებს. ეს ფენები ზემოდან გადაფარულია ნაყარი გრუნტით.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. გრუნტის წყალი გავრცელებულია თიხნარულ გრუნტებში. მიწისქვეშა წყალი ინფილტრაციული ხასიათისაა, მის კვების არეს ირგვლივ მდებარე მთის ფერდობები წარმოადგენს, ხოლო განტვირთვის არე დიღმის დეპრესიაა.

## 3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით, ს.ნ და წ. 1.02.07.-87-ის დან. 10-ის მიხედვით უბანი განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის საინჟინრო-გეოლოგიურ კატეგორიას. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად აღნიშნულ მოედანზე გაყვანილია ექვსი ჭაბურღილი მაქსიმალური სიღრმით 25,0 მ-დე. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე უბანზე გამოყოფილია ოთხი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

**ფენა №1 ნაყარი გრუნტი -** $tQ_{IV}$ - წარმოდგენილია თიხნარის მასით, აგურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული. ფენა არ დასინჯულა. ფენის სიმძლავრე 0,8-2,0 მ. ფენის თვითშემკვრივების პროცესი დასრულებულია დროის შესაბამისი პერიოდის გასვლის გამო.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-a – II კატეგორიას.

**ფენა №2 თიხნარი -** $pdQ_{IV}$ – მოყვითალო ფერის, ხვინჭის და ღორღის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით და შუაშრეებით, ძნელპლასტიური კონსისტენციის. ფენა დასინჯულია

დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. ნიმუშებზე ჩატარდა ძვრაზე გამოცდები 0,5 კგძ/სმ$^2$ საფეხურებრივი დატვირთვით 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, პლასტიურობის რიცხვი, დენადობის მაჩვენებელი. გრუნტის პირობითი საანგარიშო მნიშვნელობა მიღებულია პნ 01.05-08 დანართი 3, ცხრ. 3-ის საფუძველზე. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 1

| № | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი | განზ. ერთ. | ნორმატიული მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიმკვრივე | ρ | გ/სმ$^3$ | 1,86 |
| 2 | ჩონჩხის სიმკვრივე | $\rho_\delta$ | გ/სმ$^3$ | 1,50 |
| 3 | მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე | ρs | გ/სმ$^3$ | 2,72 |
| 4 | ბუნებრივი ტენიანობა | W | ერთ. ნაწ. | 0,241 |
| 5 | ფორიანობა | n | % | 45 |
| 6 | ფორიანობის კოეფიციენტი | e | ერთ. ნაწ. | 0,815 |
| 7 | ტენიანობა დენადობის ზღვარზე | $W_L$ | ერთ. ნაწ. | 0,321 |
| 8 | ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე | Wp | ერთ. ნაწ. | 0,207 |
| 9 | პლასტიურობის რიცხვი | Ip | ერთ. ნაწ. | 11,3 |
| 10 | დენადობის მაჩვენებელი | $I_L$ | ერთ. ნაწ. | 0,29 |
| 11 | ტენიანობის ხარისხი | Sr | ერთ. ნაწ. | 0,8 |
| 12 | პუასონის კოეფიციენტი | μ | | 0.35 |
| 13 | დეფორმაციის მოდული | E | კგძ/სმ$^2$ | 110 |
| 14 | შიგა ხახუნის კუთხე | φ | გრად. | 19$^0$ |
| 15 | ხვედრითი შეჭიდულობა | C | კგძ/სმ$^2$ | 0,21 |
| 16 | პირობითი საანგარიშო წინაღობა | $R_0$ | კგძ/სმ$^2$ | 2,0 |

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 33-ბ-II კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

**ფენა №3 თიხა** – $P_3$+$N^1_1$ – მოყვითალო ფერის, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, მერგელების თხელი შუაშრეებით, მყარი კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 10 ნიმუშით. 6 ნიმუშზე ჩატარდა ძვრაზე გამოცდები საფეხურებრივი დატვირთით 0,5 კგძ/სმ$^2$ ინტერვალით, 3,0 კგ-მდე, შესაწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობის კოეფიციენტი და დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით პნ 02.01-08-ის დან. 3, ცხრ. 3-ის საფუძველზე მიღებულია პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობა. გრუნტის ფიზიკურ-

მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 2-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 2

| № | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი | განზ. ერთ. | ნორმატიული მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიმკვრივე | ρ | გ/სმ$^3$ | 1.93 |
| 2 | მშრალი გრუნტის სიმკვრივე | $\rho_\delta$ | გ/სმ$^3$ | 1,55 |
| 3 | გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე | ρs | გ/სმ$^3$ | 2,74 |
| 4 | ბუნებრივი ტენიანობა | W | ერთ. ნაწ | 0,244 |
| 5 | ფორიანობა | n | % | 43 |
| 6 | ფორიანობის კოეფიციენტი | e | ერთ. ნაწ. | 0,771 |
| 7 | ტენიანობა დენადობის ზღვარზე | $W_L$ | ერთ. ნაწ. | 0,484 |
| 8 | ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე | Wp | ერთ. ნაწ. | 0,293 |
| 9 | პლასტიურობის რიცხვი | Ip | ერთ. ნაწ. | 19.1 |
| 10 | დენადობის მაჩვენებელი | $I_L$ | ერთ. ნაწ. | 0,00 |
| 11 | ტენიანობის ხარისხი | Sr | ერთ. ნაწ. | 0,8 |
| 12 | შიგა ხახუნის კუთხე | φ | გრად. | $20^0$ |
| 13 | ხვედრითი შეჭიდულობა | C | კგძ/სმ$^2$ | 0,53 |
| 14 | პუასონის კოეფიციენტი | μ | ერთ. ნაწ. | 0,42 |
| 15 | დეფორმაციის მოდული | E | კგძ/სმ$^2$ | 200 |
| 16 | საანგარიშო წინაღობა | $R_0$ | კგძ/სმ$^2$ | 3.0 |

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8 – д – IV კატეგორიას

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას

**ფენა №4** თიხა – $P_3$+$N^1_1$ – მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, შრეებს შორის ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 10 ნიმუშით. 6 ნიმუშზე ჩატარდა ძვრაზე გამოცდები საფეხურებრივი დატვირთით 0,5 კგძ/სმ$^2$ ინტერვალით. აგრეთვე, შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები, ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობის კოეფიციენტი და დენადობის მაჩვენებელი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით პნ 02.01-08-ის დან. 3, ცხრ. 3-ის საფუძველზე მიღებულია პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობა. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 3-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 3

| № | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი | განზ. ერთ. | ნორმატიული მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სიმკვრივე | ρ | გ/სმ$^3$ | 1.97 |
| 2 | მშრალი გრუნტის სიმკვრივე | $\rho_\delta$ | გ/სმ$^3$ | 1,70 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე | ρs | გ/სმ$^3$ | 2,74 |
| 4 | ბუნებრივი ტენიანობა | W | ერთ. ნაწ | 0,163 |
| 5 | ფორიანობა | n | % | 36 |
| 6 | ფორიანობის კოეფიციენტი | e | ერთ. ნაწ. | 0,568 |
| 7 | ტენიანობა დენადობის ზღვარზე | $W_L$ | ერთ. ნაწ. | 0,411 |
| 8 | ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე | Wp | ერთ. ნაწ. | 0,222 |
| 9 | პლასტიურობის რიცხვი | Ip | ერთ. ნაწ. | 18,9 |
| 10 | დენადობის მაჩვენებელი | $I_L$ | ერთ. ნაწ. | 0,00 |
| 11 | ტენიანობის ხარისხი | Sr | ერთ. ნაწ. | 0,7 |
| 12 | პუასონის კოეფიციენტი | μ | ერთ. ნაწ. | 0,42 |
| 13 | შიგა ხახუნის კუთხე | φ | გრად. | 23$^0$ |
| 14 | ხვედრითი შეჭიდულობა | C | კგძ/სმ$^2$ | 0,68 |
| 15 | დეფორმაციის მოდული | E | კგძ/სმ$^2$ | 250 |
| 16 | საანგარიშო წინაღობა | $R_0$ | კგძ/სმ$^2$ | 5,0 |

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8 – д – IV კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას

სამშენებლო მოედანზე მიწისქვეშა წყალი 4,8-6.0 მ-ის სიღრმეზე, თიხნარისა და ძირითადი თიხის კონტაქტზე დაფიქსირდა. წყალი მაღალი მინერალიზაციისაა – 1,7 მგ/ლ, ქიმიური შედგენილობით წყალი სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-მაგნიუმიანია. იგი საშუალოდ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი $W_4$ მარკის ბეტონის მიმართ, სუსტად აგრესიულია $W_6$ და $W_8$ მარკის ბეტონების მიმართ.

არ არის აგრესიული პორტლანდცემენტის სახ.სტანდარტი 10178-76 კლინკერში ჩანართებით $C_3S$ არაუმეტეს 65%; $C_3A$ არაუმეტეს 7%; $C_3A$+ $C_4AF$ არაუმეტეს 22%; წიდაპორტლანდცემენტზე და აგრეთვე სულფატომედეგი სახ.სტანდარტი 22266-76 ცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი $W_4$, $W_6$, $W_8$ მარკის ბეტონების მიმართ.
არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში, სუსტად აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

## 4. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისში, დიდი დიღმში, პეტრე იბერის ქ. №30-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი №01.10.06.001.002 მდებარეობს ტექნოგენურ, მცირედ დახრილ რელიეფზე. მოედნის ნიშნულები 477,3 – 480,1 მ. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წელს

ჩატარებული კვლევების “ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში”-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი მოედანი მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონას. მიწის ნაკვეთი მდგრადია, ამჟამად, მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მწყერი, ღვარცოფი, სუფოზია, კარსტი და სხვა.) გავრცელებული არ არის.

2. სავველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე გამოიყო სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ნაყარი გრუნტის ფენა მხედველობაში არ მიიღება): ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრ. 4-ში.

ცხრ.4

| სგე | ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები | სიმკვრივე ρ , გ/სმ³ | ხვედრითი .შეჭიდულობა C კგძ/სმ² | შიგა ხახუნის კუთხე φ გრად | დეფორმაციის მოდული E კგძ/სმ² | პირობითი საანგ.წინაღობა R ₀, კგძ/სმ² | პლასტიურობის რიცხვი $I_P$ | დენადობის მაჩვენებელი $I_L$ | ჯესონის . კოეფიციენტი μ | გრუნტის დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | $A_n$ | 1.86 | 0,21 | 19° | 110 | 2,0 | 11.3 | 0.29 | 0.35 | თიხნარი |
| | α =0,85 | 1,84 | 0,15 | 18° | | | | | | |
| | α =0,95 | 1,82 | 0,12 | 17° | | | | | | |
| II | $A_n$ | 1.93 | 0,53 | 20° | 200 | 3.0 | 19.1 | 0.00 | 0.42 | თიხა მოყვითალო, შრეებრივი. |
| | α =0,85 | 1,90 | 0,49 | 19° | | | | | | |
| | α =0,95 | 1,88 | 0,46 | 18° | | | | | | |
| III | $A_n$ | 1.97 | 0,68 | 23° | 250 | 5.0 | 19.6 | 0.00 | 0.42 | თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი |
| | α =0,85 | 1.95 | 0,61 | 21° | | | | | | |
| | α =0,95 | 1,93 | 0,56 | 20° | | | | | | |

3. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი I სგე წარმოადგენს თიხნარს, რომელიც ძირითადი ქანების ღორღს და ხვინჭას შეიცავს. გრუნტი მიწის ზედაპირიდან 5,0-7,0 მ-ის სიღრმემდეა გავრცელებული. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის დაბალი მახასიათებლები, ამიტომ, მისი გამოყენება ფუძის გრუნტებად არ არის რეკომენდებული.
4. II სგე – მყარი კონსისტენციის მოყვითალო ფერის ძირითად თიხას წარმოადგენს. შეიცავს მერგელების თხელ შუაშრეებს. გავრცელებულია 5,0-7,0 მ-ის სიღრმიდან.

აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის კარგი მახასიათებლები, ამიტომ, მისი გამოყენება ფუძის გრუნტებად შესაძლებელია. საძირკვლის ტიპი – რკინა-ბეტონის ფილა.

5. III სგე წარმოადგენს მონაცრისფრო-მოლურჯო, მყარი კონსისტენციის მაიკოპის ტიპის თიხას. შეიცავს ქვიშაქვის თხელ შუაშრეებს. გავრცელებულია 12,0-14,0 მ-ის სიღრმიდან. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის მაღალი მახასიათებლები, ამიტომ, იგი რეკომენდებულია ფუძის გრუნტებად. საძირკვლის ტიპი – ბურღვით-ნატენი კიდული ხიმინჯები.
6. გრუნტის წყალი დაფიქსირდა 4,8-6.0 მ-ის სიღრმეზე. წყალი საშუალო სულფატური აგრესიით ხასიათდება, ამიტომ, საძირკვლებში გამოყენებულ იქნეს სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული ბეტონი.
7. ქვაბულის მოწყობის დროს, სადრენაჟო და წყალქცევითი სამუშაოების ჩატარებისთვის გათვალისწინებულ იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87 თავი 2-ის მოთხოვნები, ხოლო წყლის მოდენა ქვაბულის 1 $მ^2$-ზე მიღებული იქნეს 0.01 ლ/წმ.
8. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მიხედვით. ს.ნ. და წ. III-4-80 §9.11 ცხრ. 4-ის თანახმად 5 მ-მდე ქვაბულის მოწყობის შემთხვევაში ქვაბულის ფერდოს ქანობი თიხნარებისთვის მიიღება 1:0,75 ანუ 53°.
9. ქ. თბილისი, "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.-09)–ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A - 0.17. ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით იმავე კრებულის ცხრ. №1-ის მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას.

გეოლოგიის მაგისტრი,
ინჟინერ–გეოლოგი გ. სადრაძე

# ტექნიკური დავალება
## საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

დამკვეთი დამკვეთის მიერ
/დამკვეთის ან ორგანიზაციის დასახელება/

### I. საერთო ცნობები

1. ობიექტის სრული დასახელება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

2. ობიექტის მდებარეობა ~~ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, №30 ნაკვ. №01.10.06.001.002~~
/ადმინისტრაციული კუთვნილება და მისამართი/

3. მშენებლობის მოკლე დახასიათება ახალმშენებლობა
/ახალმშენებლობა, რეკონსტუქცია, გაფართოება/

### II. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის საჭირო მონაცემები.

4. დაპროექტების სტადია სტადია პროექტი
/წინასაპროექტო სტადია, პროექტი, მუშა პროექტი/

საპროექტო შენობა-ნაგებობების დახასიათება

5. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით ~~II~~

6. შენობის სართულიანობა და ზომები გეგმაში თხუთმეტსართულიანი

7. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული ±0,00=479,00 მ

8. სარდაფის იატაკის საპროექტო ნიშნული 476,00 მ

9. შენობის ტიპი კარკასული, სართულშუა გადახურვა-მონოლითური ფილა
/კარკასული, მონოლითური და სხვ./

10. საძირკვლის სავარაუდო ტიპი და ზომები დადგინდება გეოლოგიური კვლევების საფუძველზე

11. მოსალოდნელი საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ფუძეზე

12. საამშენებლო უბნის ტოპოგეგმა ნაგებობის კონტურებით მასშ. 1 : 500 ~~1~~

შენიშვნა:

კონსტრუქტორი

ჭაბ. №1
479,8

ჭაბ. №2
479,2

ჭაბ. №3
479,4

ჭაბ. №4
479,4

ჭაბ. №5
479,0

ჭაბ. №6
478,3

33,5

26,5

17,0

32,0

31,0

1 800

3 110

3 890

1 160

2 240

1 850

920

12

I

II

III

IV

01.10.06.001.152

01.10.06.001.125

01.10.06.001.126

01.10.06.001.229

01.10.06.001.147

01.10.06.001.139

01.10.06.001.018

01.10.06.001.196

01.02.595

01.02.368

01.00.003

01.00.210

01.01.799

დემეტრე თავდადებულის ქ.

ზარდული

ბუნებრივი აირის ძირითადი მომარაგების ქსელი

ბუნებრივი აირის ძირითად

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | ქ. ობოლსი, კეტრე ობერის ქუჩა, №30 ნაკვ. №01.10.06.001.002-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი | | |
| დირექტორი | გ. სიჭინაშვილი | | | | |
| ინჟინერ-ოპერატორი | გ. საღარაძე | | ჭაბურღილების განლაგების სქემა | | |
| შესასრულა | გ. საღარაძე | | | | |
| შეამოწმა | | | სტადია | ფურცელი | ფურც-ბი |
| | | | მუშაკარ.პროექტი | 1 | 5 |

მასშტაბი: უმასშტაბოდ

შ.პ.ს "თბილინჟსტარპროექტი"




## პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა აბურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული.

1 თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით, ძნელპლასტიური.

2 თიხა მოყვითალო ფერის, ქანბისფერი ლაქებით, შრეებრივი, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი.

3 თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.

ლითოლოგიური საზღვარი

4,8(474,6) ბრუნტის წყლის დონე

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | ქ. თბილისი, კეტრე იბერის ქუჩა, №30 ნაკვ. №01.10.06.001.002-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი | | | | |
| დირექტორი | გ. სიჟმაშვილი | | | | | | |
| ინჟ.გეოლოგი | გ. საღრაძე | | საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I | | | | |
| შესასრულა | გ. საღრაძე | | | | | | |
| შეამოწმა | | | სტადია | ფურცელი | ფურც-ბი | მასშტაბი | შ.პ.ს |
| | | | პროექტი | 2 | 5 | 1:200 | "თბილინვესტპროექტი" |




## პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა აბურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული.

1 თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით, ძნელპლასტიური.

2 თიხა მოყვითალო ფერის, ქანბისფერი ლაქებით, შრეებრივი, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი.

3 თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.

ლითოლოგიური საზღვარი

4,8(474,6) ბრუნტის წყლის დონე

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | ქ. თბილისი, კეტრე იბერის ქუჩა, №30 ნაკვ. №01.10.06.001.002-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი | | | | |
| დირექტორი | გ. სიჟმაშვილი | | | | | | |
| ინჟ.გეოლოგი | გ. სადრაძე | | საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II | | | | |
| შესასრულა | გ. სადრაძე | | | | | | |
| შეამოწმა | | | სტადია | ფურცელი | ფურც-ბი | მასშტაბი | შ.პ.ს |
| | | | პროექტი | 3 | 5 | ვერ1:200 ჰორ1:100 | "თბილინვესტპროექტი" |




| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიშნული | 476,3 | 479,4 | | 479,0 | | 478,3 |
| მანძილი | | 13,0 | | 17,0 | 32,0 | |

## პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა აბურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული.

1 თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით, ძნელპლასტიური.

2 თიხა მოყვითალო ფერის, ქანბისფერი ლაქებით, შრეებრივი, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი.

3 თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.

ლითოლოგიური საზღვარი

4,8(474,6) გრუნტის წყლის დონე

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | ქ. თბილისი, კეტრე იბერის ქუჩა, №30 ნაკვ. №01.10.06.001.002-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი | | | | |
| დირექტორი | გ. სიჭინაშვილი | | | | | | |
| ინჟ.გეოლოგი | გ. სადრაძე | | საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი III-III | | | | |
| შესასრულა | გ. სადრაძე | | | | | | |
| შეამოწმა | | | სტადია | ფურცელი | ფურც-ბი | მასშტაბი | შ.პ.ს |
| | | | პროექტი | 4 | 5 | 1:200 | "თბილინვესტპროექტი" |




## პირობითი ნიშნები

ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა აგურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული.

1 თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით, ძნელპლასტიური.

2 თიხა მოყვითალო ფერის, შანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი.

3 თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი.

ლითოლოგიური საზღვარი

4,8(474,6) გრუნტის წყლის დონე

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | ქ. თბილისი, კეტრე იბერის ქუჩა, №30 ნაკვ. №01.10.06.001.002-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი | | | | |
| დირექტორი | გ. სიდამონიძე | | | | | | |
| ინჟენერი-გეოლოგი | გ. სადრაძე | | საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი IV-IV | | | | |
| შემსრულა | გ. სადრაძე | | | | | | |
| შეამოწმა | | | სტადია | ფურცელი | ფურც-ბი | მასშტაბი | შ.პ.ს |
| | | | პროექტი | 5 | 5 | 1:200 | "თბილინჯინიერინგი" |

# ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №1 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 479.8

| მეტრაჟი | გეოლოგიური ინდექსი | ლითოლოგიური ჭრილი | შრის სიმძლავრე მ | შრის სიმძლავრე მ | აბს. ნიშნული მ | ბრუნტის აღწერა | წყლის გამოჩენა მ | დონის დაწყვება მ | ნიმუშის აღების სიღრმე მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | tQIV | | 1.0 | 1.0 | 478.8 | ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა აგურის და ბეტონის ნატეხებით, შემკრივებული. | | | |
| 2<br>3<br>4<br>5<br>6 | pdQIV | | 6.0 | 5.0 | 473.8 | თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით ძნელპლასტიური. | 6.0 | | 4.5 |
| 7<br>8<br>9<br>10<br>11<br>12<br>13 | P3+ N¹1 | | 13.0 | 7.0 | 466.8 | თიხა მოყვითალო ფერის, შრეებრივი, უანგისფერი ლაქებით, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 7.0<br>11.5 |
| 14<br>15<br>16<br>17<br>18<br>19<br>20<br>21<br>22<br>23<br>24<br>25 | P3+ N¹1 | | 25.0 | 12.0 | 454.8 | თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 14.0<br>17.5 |

# ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №2 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 479.2

| მეტრაჟი | გეოლოგიური ინდექსი | ლითოლოგიური ჭრილი | შრის სვეტის სიღრმე მ | შრის სიმძლავრე მ | აბს. ნიშნული მ | ბრუნტის აღწერა | წყლის გამოჩენა მ | დონის დამყარება მ | ნიმუშის აღების სიღრმე მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | tQIV | | 1.0 | 1.0 | 478.2 | ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა აგურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული. | | | |
| 2<br>3<br>4<br>5<br>6<br>7 | pdQIV | | 7.0 | 6.0 | 473.2<br>472.2 | თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით ძნელპლასტიური. | 6.0 | | 4.8 |
| 8<br>9<br>10<br>11<br>12<br>13 | P3+ N¹1 | | 13.6 | 6.6 | 465.6 | თიხა მოყვითალო ფერის, შრეებრივი, ჟანგისფერი ლაქებით, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 9.0<br>12.8 |
| 14<br>15<br>16<br>17<br>18<br>19<br>20<br>21<br>22<br>23<br>24<br>25 | P3+ N¹1 | | 25.0 | 11.4 | 454.2 | თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 15.0<br>20.0 |

# ᲭᲐᲑᲣᲠᲦᲘᲚᲘᲡ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ-ᲚᲘᲗᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲭᲠᲘᲚᲘ

ჭაბ. №3 | მასშ: 1:50 | აბს. ნიშნ 479.4

| მეტრაჟი | გეოლოგიური ინდექსი | ლითოლოგიური ჭრილი | შრის საგების სიღრმე მ | შრის სიმძლავრე მ | აბს. ნიშნული მ | ᲒᲠᲣᲜᲢᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ | წყლის გამოჩენა მ | დონის დამყარება მ | ნიმუშის აღების სიღრმე მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | $tQ_{IV}$ | | 1.5 | 1.5 | 477.9 | ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა აგურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული. | | | |
| 2<br>3<br>4 | $pdQ_{IV}$ | | 4.8 | 3.3 | 474.6 | თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით ძნელპლასტიური. | 4.8 | | 2.2 |
| 5<br>6<br>7<br>8<br>9<br>10<br>11<br>12<br>13 | $P_3+N_1^1$ | | 13.4 | 8.6 | 466.0 | თიხა მოყვითალო ფერის, შრეებრივი, ჟანგისფერი ლაქებით, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 8.5<br>10.2 |
| 14<br>15<br>16<br>17<br>18<br>19<br>20<br>21<br>22<br>23<br>24<br>25 | $P_3+N_1^1$ | | 25.0 | 11.6 | 454.4 | თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 16.2<br>22.5 |

# ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №4 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 479.4

| მეტრაჟი | გეოლოგიური ინდექსი | ლითოლოგიური ჭრილი | შრის სვეტის სიღრმე მ | შრის სიმძლავრე მ | აბს. ნიშნული მ | ბრუნტის აღწერა | წყლის გამოჩენა მ | დონის დამყარება მ | ნიმუშის აღების სიღრმე მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | tQIV | | | | | ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა აგურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული. | | | |
| 2 | | | 2.0 | 2.0 | 477.4 | | | | |
| 3 | pdQIV | | | | | თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით ძნელპლასტიური. | | | |
| 4 | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | |
| 6 | | | | | 473.8 | | 5.6 | | 6.0 |
| 7 | | | 7.0 | 5.0 | 472.4 | | | | |
| 8 | P3+ N¹1 | | | | | თიხა მოყვითალო ფერის, შრეებრივი, ჟანგისფერი ლაქებით, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | |
| 9 | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | 10.4 |
| 11 | | | | | | | | | |
| 12 | | | | | | | | | |
| 13 | | | | | | | | | 13.7 |
| 14 | | | 14.0 | 7.0 | 465.4 | | | | |
| 15 | P3+ N¹1 | | | | | თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | |
| 16 | | | | | | | | | |
| 17 | | | | | | | | | |
| 18 | | | | | | | | | 18.8 |
| 19 | | | | | | | | | |
| 20 | | | | | | | | | |
| 21 | | | | | | | | | |
| 22 | | | | | | | | | |
| 23 | | | | | | | | | 23.4 |
| 24 | | | | | | | | | |
| 25 | | | 25.0 | 11.0 | 454.4 | | | | |

# ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №5 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 479.0

| მეტრაჟი | გეოლოგიური ინდექსი | ლითოლოგიური ჭრილი | შრის საბების სიღრმე მ | შრის სიმძლავრე მ | აბს. ნიშნული მ | ბრუნტის აღწერა | წყლის გამოჩენა მ | დონის დამყარება მ | ნიმუშის აღების სიღრმე მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | tQIV | | 1.0 | 1.0 | 478.0 | ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა აგურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული. | | | |
| 2<br>3<br>4<br>5 | pdQIV | | 5.0 | 4.0 | 474.0 | თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით ძნელპლასტიური. | 5.0 | | 4.2 |
| 6<br>7<br>8<br>9<br>10<br>11<br>12<br>13<br>14 | P3+ N¹1 | | 14.0 | 9.0 | 465.0 | თიხა მოყვითალო ფერის, შრეებრივი, უანგისფერი ლაქებით, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 11.0 |
| 15<br>16<br>17<br>18<br>19<br>20<br>21<br>22<br>23<br>24<br>25 | P3+ N¹1 | | 25.0 | 11.0 | 454.0 | თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 21.0 |

# ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №6 მასშ: 1:50 აბს. ნიშნ 478.3

| მეტრაჟი | გეოლოგიური ინდექსი | ლითოლოგიური ჭრილი | შრის სავების სიღრმე მ | შრის სიმძლავრე მ | აბს. ნიშნული მ | ბრუნტის აღწერა | წყლის გამოჩენა მ | დინის დამყარება მ | ნიმუშის აღების სიღრმე მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | tQIV | | 0.8 | 0.8 | 477.5 | ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა აგურის და ბეტონის ნატეხებით, შემკვრივებული. | | | |
| 2<br>3<br>4<br>5<br>6 | pdQIV | | 6.0 | 5.2 | 472.3 | თიხნარი მოყვითალო ფერის, ხვინჭის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით ძნელპლასტიური. | 6.0 | | 3.5 |
| 7<br>8<br>9<br>10<br>11<br>12<br>13<br>14 | P3+<br>N¹1 | | 14.5 | 8.5 | 463.8 | თიხა მოყვითალო ფერის, შრეებრივი, ჟანგისფერი ლაქებით, მერგელის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 9.5 |
| 15<br>16<br>17<br>18<br>19<br>20<br>21<br>22<br>23<br>24<br>25 | P3+<br>N¹1 | | 25.0 | 10.5 | 453.3 | თიხა მონაცრისფრო-მოლურჯო, შრეებრივი, ქვიშაქვის თხელი შუაშრეებით, მყარი. | | | 22.2 |

# პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა №30, ნაკვ. №01.10.06.001.002

გრუნტების შედგენილობის და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისი

| რიგითი № | ჭაბურღილის/შურფის № | ნიმუშის აღების ინტერვალი, მ | ფრაქციის ზომა, მმ | | | | | | | | | | | | | ტენიანობა W% | | პლასტიკურობა | | | $I_L$ | სიმკვრივე, გრ/სმ³ | | | ფორიანობა, n% | ფორიანობის კოეფიციენტი, e | ტენიანობის ხარისხი, $S_r$ | შეჭიდულობა, c,კგ/სმ2 | შინაგანი ხახუნის კუთხე, φ | გრუნტის დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 60-40 | 40-20 | 20-10 | 10-5 | 5-2 | 2-1 | 1-0.5 | 0.5-0.25 | 0.25-0.1 | 0.1-0.05 | 0.05-0.01 | 0.01-0.005 | < 0.005 | ბუნებრივი | შემავსებელი | ზღვა ზღვარი, $W_L$% | ქვედა ზღვარი, $W_p$% | პლასტიკურობის რიცხვი, $I_p$ | | მინერალური ნაწილაკების ρs | ბუნებრივი, ρ | ჩონჩხის, $\rho_d$ | | | | | | |
| 1 | 1 | 4.5 | | | | | | | | | | | | | | 22.4 | | 31.2 | 18.9 | 12.3 | 0.28 | 2.72 | 1.80 | 1.47 | 46 | 0.850 | 0.72 | 0.23 | 19 | თიხნარი ძნელპლასტიური |
| 2 | 2 | 4.8 | | | | | | | | | | | | | | 23.3 | | 30.5 | 20.3 | 10.2 | 0.29 | 2.72 | 1.85 | 1.50 | 45 | 0.813 | 0.78 | 0.25 | 19 | თიხნარი ძნელპლასტიური |
| 3 | 3 | 2.2 | | | | | | | | | | | | | | 25.4 | | 32.5 | 22.7 | 9.8 | 0.28 | 2.72 | 1.82 | 1.45 | 47 | 0.874 | 0.79 | 0.18 | 16 | თიხნარი ძნელპლასტიური |
| 4 | 4 | 6.0 | | | | | | | | | | | | | | 23.5 | | 31.3 | 20.8 | 10.5 | 0.26 | 2.72 | 1.87 | 1.51 | 44 | 0.796 | 0.80 | 0.19 | 17 | თიხნარი ძნელპლასტიური |
| 5 | 5 | 4.2 | | | | | | | | | | | | | | 24.8 | | 33.2 | 20.4 | 12.8 | 0.34 | 2.72 | 1.89 | 1.51 | 44 | 0.796 | 0.85 | 0.20 | 19 | თიხნარი ძნელპლასტიური |
| 6 | 6 | 3.5 | | | | | | | | | | | | | | 25.0 | | 33.7 | 21.3 | 12.4 | 0.30 | 2.72 | 1.93 | 1.54 | 43 | 0.762 | 0.89 | 0.24 | 21 | თიხნარი ძნელპლასტიური |
| 7 | 1 | 7.0 | | | | | | | | | | | | | | 24.9 | | 48.6 | 31.6 | 17.0 | -0.39 | 2.74 | 1.87 | 1.50 | 45 | 0.830 | 0.82 | | | თიხა მყარი |
| 8 | 1 | 11.5 | | | | | | | | | | | | | | 23.2 | | 47.8 | 28.7 | 19.1 | -0.29 | 2.74 | 1.90 | 1.54 | 44 | 0.777 | 0.82 | 0.69 | 15 | თიხა მყარი |
| 9 | 2 | 9.0 | | | | | | | | | | | | | | 24.7 | | 49.7 | 30.2 | 19.5 | -0.28 | 2.74 | 1.93 | 1.55 | 44 | 0.770 | 0.88 | 0.66 | 15 | თიხა მყარი |
| 10 | 2 | 12.8 | | | | | | | | | | | | | | 25.6 | | 46.7 | 26.4 | 20.3 | -0.04 | 2.74 | 1.89 | 1.50 | 45 | 0.821 | 0.85 | 0.68 | 16 | თიხა მყარი |
| 11 | 3 | 8.5 | | | | | | | | | | | | | | 23.4 | | 48.2 | 28.3 | 19.9 | -0.25 | 2.74 | 1.97 | 1.60 | 42 | 0.716 | 0.90 | | | თიხა მყარი |
| 12 | 3 | 10.2 | | | | | | | | | | | | | | 24.3 | | 48.8 | 29.2 | 19.6 | -0.25 | 2.74 | 2.01 | 1.62 | 41 | 0.694 | 0.96 | | | თიხა მყარი |
| 13 | 4 | 10.4 | | | | | | | | | | | | | | 23.6 | | 49.2 | 31.0 | 18.2 | -0.41 | 2.74 | 1.84 | 1.49 | 46 | 0.841 | 0.77 | 0.63 | 19 | თიხა მყარი |
| 14 | 4 | 13.7 | | | | | | | | | | | | | | 24.5 | | 47.2 | 28.8 | 18.4 | -0.23 | 2.74 | 1.93 | 1.55 | 43 | 0.768 | 0.87 | 0.59 | 16 | თიხა მყარი |
| 15 | 5 | 11.0 | | | | | | | | | | | | | | 25.2 | | 49.1 | 30.4 | 18.7 | -0.28 | 2.74 | 1.96 | 1.57 | 43 | 0.750 | 0.92 | | | თიხა მყარი |
| 16 | 6 | 9.5 | | | | | | | | | | | | | | 24.4 | | 48.6 | 28.8 | 19.8 | -0.22 | 2.74 | 1.96 | 1.58 | 42 | 0.739 | 0.90 | 0.57 | 17 | თიხა მყარი |
| 17 | 1 | 14.0 | | | | | | | | | | | | | | 16.1 | | 42.0 | 21.8 | 20.2 | -0.28 | 2.74 | 1.97 | 1.70 | 38 | 0.615 | 0.72 | 0.67 | 22 | თიხა მყარი |

| რიგითი № | ჭაბურღილის/შურფის № | ნიმუშის ალების ინტერვალი, მ | ფრაქციის ზომა, მმ | | | | | | | | | | | | ტენიანობა W% | | პლასტიკურობა | | | კონსისტენციის მაჩვენებელი, $I_L$ | სიმკვრივე, გრ/სმ³ | | | ფორიანობა, n% | ფორიანობის კოეფიციენტი, e | ტენიანობის ხარისხი, $S_r$ | შეჭიდულობა, c,კგ/სმ2 | შინაგანი ხახუნის კუთხე, φ | გრუნტის დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 60-40 | 40-20 | 20-10 | 10-5 | 5-2 | 2-1 | 1-0.5 | 0.5-0.25 | 0.25-0.1 | 0.1-0.05 | 0.05-0.01 | 0.01-0.005 | < 0.005 | ბუნებრივი | შემავსებელი | ზღვარი, $W_L$% | ქვედა ზღვარი, $W_p$% | პლასტიკურობის რიცხვი, $I_p$ | | მინერალური ნაწილაკების ρs | ბუნებრივი, ρ | ჩონჩხის, $\rho_d$ | | | | | | |
| 18 | 1 | 17.5 | | | | | | | | | | | | | | 16.3 | | 43.7 | 22.9 | 20.8 | -0.32 | 2.74 | 2.02 | 1.74 | 37 | 0.578 | 0.77 | 0.80 | 23 | თიხა მყარი |
| 19 | 2 | 15.0 | | | | | | | | | | | | | | 17.4 | | 42.5 | 24.7 | 17.8 | -0.41 | 2.74 | 2.00 | 1.70 | 38 | 0.608 | 0.78 | 0.60 | 20 | თიხა მყარი |
| 20 | 2 | 20.0 | | | | | | | | | | | | | | 16.5 | | 43.7 | 25.6 | 18.1 | -0.50 | 2.74 | 1.96 | 1.68 | 39 | 0.629 | 0.72 | 0.67 | 23 | თიხა მყარი |
| 21 | 3 | 16.2 | | | | | | | | | | | | | | 18.4 | | 35.6 | 19.9 | 15.7 | -0.10 | 2.74 | 1.98 | 1.67 | 39 | 0.638 | 0.79 | | | თიხნარი მყარი |
| 22 | 3 | 22.5 | | | | | | | | | | | | | | 14.1 | | 41.3 | 23.7 | 17.6 | -0.55 | 2.74 | 1.89 | 1.66 | 40 | 0.654 | 0.59 | | | თიხა მყარი |
| 23 | 4 | 18.8 | | | | | | | | | | | | | | 14.5 | | 40.3 | 20.4 | 19.9 | -0.30 | 2.74 | 1.91 | 1.67 | 39 | 0.643 | 0.62 | 0.70 | 24 | თიხა მყარი |
| 24 | 4 | 23.4 | | | | | | | | | | | | | | 17.3 | | 42.7 | 22.2 | 20.5 | -0.24 | 2.74 | 1.95 | 1.66 | 39 | 0.648 | 0.73 | | | თიხა მყარი |
| 25 | 5 | 21.0 | | | | | | | | | | | | | | 15.2 | | 41.7 | 19.9 | 21.8 | -0.22 | 2.74 | 2.05 | 1.78 | 35 | 0.540 | 0.77 | 0.63 | 22 | თიხა მყარი |
| 26 | 6 | 22.2 | | | | | | | | | | | | | | 17.2 | | 37.5 | 21.2 | 16.3 | -0.25 | 2.74 | 2.00 | 1.71 | 38 | 0.606 | 0.78 | | | თიხნარი მყარი |

შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი : თ. ხევცურიანი

თარიღი: 14.06.2021

# წყლის ქიმიური და სანიტარული ანალიზი

ობიექტი თბილისი, პეტრე იბერის ქ. №30, ნაკვ. №01.10.06.001.002
აღების ადგილი ჭაბ. №1 6,0 მ
აღების თარიღი _____
ლაბორატორიული № ----------

| ანიონები | შემცველობა 1 ლიტრში | | |
|---|---|---|---|
| | მგ. | მგ.ექვ. | მგ.ექვ.% |
| $Cl'$ | 33 | 0.93 | 2.7 |
| $SO_4''$ | 1392 | 29.0 | 84.0 |
| $HCO_3'$ | 281 | 4.6 | 13.3 |
| $CO_3''$ | - | - | - |
| $NO_2'$ | 0.1 | - | - |
| $NO_3'$ | კვ. | - | - |
| ჯამი | 1706 | 34.53 | 100 |
| კათიონები | შემცველობა 1 ლიტრში | | |
| | მგ. | მგ.ექვ. | მგ.ექვ.% |
| $Na^+ + k^+$ | 35 | 1.53 | 4.4 |
| $Ca^{++}$ | 561 | 28.0 | 81.1 |
| $Mg^{++}$ | 61 | 5.0 | 14.5 |
| $NH_4^+$ | - | - | - |
| ჯამი | 657 | 34.53 | 100 |
| საერთო მინერალიზაცია, მგ/ლ | | 2223 | |
| მშრალი ნაშთი გამომშრალი | | 2258 | |

ქიმიური შედგენილობა კურლოვის ფორმულის მიხედვით:

$$M_{2.2}\frac{SO_4''84HCO_3'13}{Ca^{+2}\,81Mg^{++}15}$$

სიხისტე

გრადუსებში – მგ.ექვ/ლ
საერთო 33.0
კარბონატული 4.6
არაკარბონატული – 28.4
PH ---------- 7.0

## სანიტარული ანალიზი

გამჭვირვალება ---გამჭვირვალე
ფერი --უფეროო----
სუნი ბალებში -უსუნო----
ნალექი არის----
$NH_4^+$ -- .-არა
$NO_2'$ ---- 0.1 მგ/ლ
$NO_3'$ - კვ.
შანგვადობა $O_2$--------
$CO_2$ მგ/ლ - 26.4 mg/l
$CO_2$ აგრესიული ----არა-

დასკვნა: წყალი საშუალოდ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178- 76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი $W_4$ მარკის ბეტონის მიმართ, სუსტად აგრესიულია $W_6$ და $W_8$ მარკის ბეტონების მიმართ.

არ არის აგრესიული პორტლანდცემენტის სახ.სტანდარტი 10178-76 კლინკერში ჩანართებით $C_3S$ არაუმეტეს 65%; $C_3A$ არაუმეტეს 7%; $C_3A+ C_4AF$ არაუმეტეს 22%; წიდაპორტლანდცემენტზე და აგრეთვე სულფატომედეგი სახ.სტანდარტი 22266-76 ცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი $W_4$, $W_6$, $W_8$ მარკის ბეტონების მიმართ.

არ არის აგრესიული არმატურის მიმართ წყალში რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში, სუსტად აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

ს.ნ. და წ. 2.03.11.85 სამშენებლო ნაგებობათა დაცვა კოროზიისაგან (ცხრილი №№5,6,7)

# წყლის ქიმიური და სანიტარული ანალიზი

ობიექტი თბილისი, პეტრე იბერის ქ. №30, ნაკვ. №01.10.06.001.002
აღების ადგილი ჭაბ. №2 6.0 მ
აღების თარიღი _____
ლაბორატორიული №

| ანიონები | შემცველობა 1 ლიტრში | | |
|---|---|---|---|
| | მგ. | მგ.ექვ. | მგ.ექვ.% |
| $Cl'$ | 11 | 0.3 | 1.1 |
| $SO_4''$ | 1075 | 22.4 | 83.9 |
| $HCO_3'$ | 244 | 4.00 | 15.0 |
| $CO_3''$ | - | - | - |
| $NO_2'$ | კვ. | - | - |
| $NO_3'$ | კვ. | - | - |
| ჯამი | 1330 | 26.7 | 100 |
| კათიონები | შემცველობა 1 ლიტრში | | |
| | მგ. | მგ.ექვ. | მგ.ექვ.% |
| $Na^+ + k^+$ | 99 | 4.3 | 16.1 |
| $Ca^{++}$ | 365 | 15.2 | 68.2 |
| $Mg^{++}$ | 51 | 4.2 | 15.7 |
| $NH_4^+$ | კვ. | - | - |
| ჯამი | 515 | 26,7 | 100 |
| საერთო მინერალიზაცია, მგ/ლ | | 1723 | |
| მშრალი ნაშთი გამომშრალი | | 1785 | |

ქიმიური შედგენილობა კურლოვის ფორმულის მიხედვით:

$$M_{1,7}\ \frac{SO_4''84\ HCO_3'15}{Ca^{+2}68\ Na^{+}+k^{+}16\ Mg^{++}16}$$

სიხისტე

გრადუსებში – მგ.ექვ/ლ
საერთო 22,4
კარბონატული 4,0
არაკარბონატული – 18,4
PH----------7.1

## სანიტარული ანალიზი

გამჭვირვალება ---გამჭვირვალე
ფერი --უფერო----
სუნი ბალებში - უსუნო
ნალექი არის-
$NH_4^+$ -- კვ
$NO_2'$ კვ
$NO_3'$ - კვ.
შანგვადობა $O_2$--------
$CO_2$ მგ/ლ 17.6
$CO_2$ აბრესიული --არა--

დასკვნა: წყალი საშუალოდ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი $W_4$ მარკის ბეტონის მიმართ, სუსტად აგრესიულია $W_6$ და $W_8$ მარკის ბეტონების მიმართ..

არ არის აგრესიული პორტლანდცემენტის სახ.სტანდარტი 10178-76 კლინკერში ჩანართებით $C_3S$ არაუმეტეს 65%; $C_3A$ არაუმეტეს 7%; $C_3A+ C_4AF$ არაუმეტეს 22%; წიდაპორტლანდცემენტზე და აგრეთვე სულფატომედეგი სახ.სტანდარტი 22266-76 ცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი $W_4$, $W_6$, $W_8$ მარკის ბეტონების მიმართ.

არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში, სუსტად აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

ს.ნ. და წ. 2.03.11.85 სამშენებლო ნაგებობათა
დაცვა კოროზიისაგან (ცხრილი №№5,6,7)

# წყლის ქიმიური და სანიტარული ანალიზი

ობიექტი თბილისი, პეტრე იბერის ქ. №30, ნაკვ. №01.10.06.001.002
აღების ადგილი ჭაბ. №5 5.0 მ
აღების თარიღი _____
ლაბორატორიული № ----------

| ანიონები | შემცველობა 1 ლიტრში | | |
|---|---|---|---|
| | მგ. | მგ.ექვ. | მგ.ექვ.% |
| Cl’ | 12 | 0.3 | 1.6 |
| $SO_4$” | 672 | 14.0 | 74.1 |
| $HCO_3$’ | 281 | 4.6 | 24.3 |
| $CO_3$” | - | - | - |
| $NO_2$’ | 0.02 | - | - |
| $NO_3$’ | 0.3 | - | - |
| ჯამი | 964 | 18.9 | 100 |
| კათიონები | შემცველობა 1 ლიტრში | | |
| | მგ. | მგ.ექვ. | მგ.ექვ.% |
| $Na^{+}+k^{+}$ | 131 | 5.7 | 30.1 |
| $Ca^{++}$ | 204 | 10.2 | 54.0 |
| $Mg^{++}$ | 36 | 3.0 | 15.9 |
| $NH_4^{+}$ | კვ | - | - |
| ჯამი | 371 | 18.9 | 100 |
| საერთო მინერალიზაცია, მგ/ლ 1194 | | | |
| მშრალი ნაშთი გამომშრალი 1215 | | | |
| ქიმიური შედგენილობა კურლოვის ფორმულის მიხედვით: $M_{1.2}\ \frac{SO_4”74\ HCO_3’24}{Ca^{+2}54Na^{+}+k^{+}30\ Mg^{++}16}$ | | | |

სიხისტე

ბრადუსებში – მგ.ექვ/ლ
საერთო 13.2
კარბონატული 4.6
არაკარბონატული 8.6
PH----------7.1

## სანიტარული ანალიზი

გამჭვირვალება ---გამჭვირვალე
ფერი --უფერო----
სუნი ბალებში --უსუნო----
ნალექი ცოტა
$NH_4^{+}$ -- კვ
$NO_2$’ -- 0.02 მგ/ლ
$NO_3$’ - 0.3 მგ/ლ
შანგვადობა $O_2$--------
$CO_2$ - 4.4 მგ/ლ
$CO_2$ აგრესიული -----არა

დასკვნა: წყალი სუსტად აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178 - 76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი $W_4$ მარკის ბეტონის მიმართ, არ არის აგრესიული $W_6$ და W8 მარკის ბეტონების მიმართ.
არ არის აგრესიული პორტლანდცემენტის სახ.სტანდარტი 10178-76 კლინკერში ჩანართებით $C_3S$ არაუმეტეს 65%; $C_3A$ არაუმეტეს 7%; $C_3A+$ $C_4AF$ არაუმეტეს 22%; წიდაპორტლანდცემენტზე და აგრეთვე სულფატომედეგი სახ.სტანდარტი 22266-76 დამზადებული წყალშეუღწევადი $W_4$, $W_6$, $W_8$ მარკის ბეტონების მიმართ.
არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წყალში მუდმივი დაძირვის პირობებში, სუსტად აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.
შეიმჩნევა წყლის სანიტარული დაბინძურების კვალი.

ს.ნ. და წ. 2.03.11.85 სამშენებლო ნაგებობათა
დაცვა კოროზიისაბან (ცხრილი №№5,6,7)

# გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| ადგილმდებარეობა | | | |
| თბილისი, პეტრე იბერის ქ №30 | სტადია | პროექტი | |
